დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური

საბჭოს მიერ, ოქმი №13, 22.12.2017წ.

რექტორი, პროფესორი----------მარინა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო პოლიტიკა

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი 2014 წლიდან, კვარტალში ერთხელ, გამოსცემს საერთაშორისო რეცენზირებად, რეფერირებად სამეცნიერო შრომათა კრებულს - მედიცინის და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები (ISSN 1512-4169).

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად მიმართულებების შესაბამისად ჟურნალში გამოყოფილია შემდეგი ძირითადი განყოფილებები: მედიცინა, სტომატოლოგია, ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია. ასევე, შესაძლებელია მეცნიერების სხვა მიმართულებების შესაბამისი სტატიების დაბეჭდვაც.

3. თითოეული მიმართულებისთვის სარედაქციო კოლეგია იწვევს მინიმუმ სამ სპეციალისტს. დასაშვებია სარედაქციო კოლეგიაში სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლების და უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.

4. ყოველი სამეცნიერო ნაშრომი ექვემდებარება სავალდებულო რეცენზირებას (peer review).

5. რეცენზირებას ახორციელებს სტატიის პირველადი შემოწმების (desk review) შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

6. უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალისთვის სტატიის განთავსება უფასოა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.

7. საავტორო უფლებები გამოქვეყნებულ ნაშრომზე რჩება შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს აფილირებული პერსონალის შემთხვევაში.

სამეცნიერო შრომათა კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომისათვის წაყენებული მოთხოვნები

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით;

სტატიაში დაცული უნდა იყოს შემდეგი მიმდევრობა: სტატიის დასახელება, ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, მონაცემები ავტორზე - სამუშაო ადგილი, ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ელექტრონულ ფოსტა, გამოყოფილი - შესავალი, ძირითადი ტექსტი ან კვლევის საგანი და დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა, სტატიის დასახელება, საკვანძო სიტყვები. ფოტომასალა უნდა იყოს კონტრასტული, ცხრილები, სურათები, ნახაზები, გრაფიკები, სქემები და დიაგრამები - დასათაურებული, დანომრილი და შესრულებული .JPG, .TIFF ფორმატში; ფორმულები - Microsoft Equation - ში;

სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 10 გვერდზე მეტი გამოყენებული ლიტერატურის სიისა და რეზიუმეების (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) ჩათვლით.

სტატიიაში უნდა გაშუქდეს: საკითხის აქტუალობა და სიახლე, კვლევის მიზანი, საკვლევი მასალა, მიღებული შედეგების განსჯა.

ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მოცულობა - არაუმეტეს 150 სიმბოლო) ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე შემდეგი რიგითობით: სტატიის დასახელება, ავტორის სახელი და გვარი, რეზიუმე, შინაარსი და საკვანძო სიტყვები.

ნაშრომი უნდა შესრულდეს Microsoft Word-ში, ქართულენოვანი ტექსტი - Sylfaen, ინგლისურენოვანი და რუსული - Times New Roman შრიფტებით;

ფურცლის ზომა A4, ველები: ზედა - 2.0 სმ, ქვედა - 2.0 სმ, მარცხენა - 2.5 სმ, მარჯვენა - 2.0 სმ; შრიფტის ზომა -12, ინტერვალი -1,15

სამეცნიერო ნაშრომში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის მითითების წესია: სტატიაში ბიბლიოგრაფიული სიები ანბანურად უნდა იყოს დაალაგებული - ჯერ სამამულო, შემდეგ კი უცხოელი ავტორების (გვარი, ინიციალები, სათაური, წიგნის/ჟურნალის დასახელება, გამოცემის ადგილი, წელი, წიგნის/ჟურნალის №). ტექსტში, კვადრატულ ფრჩხილებში, უნდა მიუთითოთ ავტორის შესაბამისი ნომერი ლიტერატურის სიის მიხედვით.

ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი;

კრებულში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილ ნაშრომს განიხილავს სარედაქციო კოლეგია.

ნაშრომს უნდა ახლდეს დარგის სპეციალისტის რეცენზია.

ნაშრომის გამოქვეყნების ღირებულებაა 20 ლარი. ნაშრომის გამოქვეყნების მსურველმა (უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალისათვის უფასოა) 20 ლარი უნდა შეიტანოს უნივერსიტეტის ანგარიშზე - სს „საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი - BAGAGE22; შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი"; ა/ა -GE56BG0000000116752300; ს/კ - 204909858

აკადემიური პატიოსნება და პლაგიატთან ბრძოლა

1. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გაატაროს პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა, დანერგოს აკადემიური პატიოსნების დარღვევისა და ამ დარღვევებზე დისციპლინარული რეაგირების მექანიზმები, ასევე, განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს პლაგიატისა და მისი რეციდივის შემთხვევაში.
2. პლაგიატად მიიჩნევა სხვისი ნაშრომის განზრახ მითვისება, მთლიანად ან ნაწილობრივ მისი როგორც საკუთარის, გამოყენება ან მისი მცდელობა, კერძოდ:

ა) სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;

ბ) საკუთარი სახელით სხვისი ნაშრომის ან მისი ნაწილის წარდგენა;

გ) სხვისი ნაშრომის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;

დ) წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომით სისტყვასიტყვითი ციტირება, სიტყვითი ან წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე, სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე;

ე) პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში რედკოლეგია დააყენებს უნივერსიტეტის (ეხება უნივერ-სიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალს) ადმინისტრაციის წინაშე აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის კონტრაქტის შეწყვეტის საკითხს;

3. უნივერსიტეტი ყველა მომდევნო აკადემიური კონკურსის ჩატარებამდე, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა კონტრაქტის გაგრძელების დროს ითვალისწინებს მათ სამეცნიერო კვლევით პოტენციალსა და სამეცნიერო კვლევებში ჩართულობას.
4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილესთან ერთად ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასებას, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს, როგორც აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში ჩართულობას.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი - პროფესორი ფირცხალავა მარინა
მთ. რედაქტორის მოადგილეები - პროფესორი ამყოლაძე გურამი, პროფესორი ოქროპირიძე თამარი
პასუხისმგებელი რედაქტორი - ბოლოკაძე იოსები
PhD ალექსანდრე როსტოვცევ-პოპიელი (საფრანგეთი), პროფესორი თავხელიძე თეიმურაზი, PhD ფრანკ-სკორჯი რეიმი (აშშ), PhD ჯოვანი როვიელო (იტალია), პროფესორი ხუბუა გიორგი.